

დებულება
დამტკიცებულია
საქართველოს სპორტული კარატეს
ეროვნული ფედერაციის გამგეობის მიერ

სარჩევი

ორგანიზატორი ..... - 3 -
მხარდამჭერი ორგანიზაცია ..... - 3 -
საორგანიზაციო საკითხები ..... - 3 -
ჩემპიონატის მსაჯობა ..... - 3 -
ჩემპიონატის მიზნები და ამოცანები ..... - 3 -
ჩემპიონატის სარეგისტრაციო პირობები ..... - 4 -
ჩემპიონატზე მოქმედი წესები ..... - 4 -
ასპარეზობის ასაკობრივი და წონითი კატეგორიები ..... - 5 -

ორგანიზატორი

- საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია

მხარდამჭერი ორგანიზაცია

- საქართველოს სპორტის სამინისტრო
- ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი

საორგანიზაციო საკითხები

ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

- დავით ტყებუჩავა - 577 545 777, ელ. ფოსტა: tkebuchavadavit@gmail.com

ჩემპიონატის მსაჯობა

ტურნირზე იმსაჯებენ კარატეს მსოფლიოსა და ევროპის ფედერაციების (WKF&EKF), ასევე საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ აკრედიტირებული მსაჯები.

- ასპარეზობაზე იმსაჯებენ კარატეს მსოფლიოსა და ევროპის ფედერაციის (WKF&EKF), ასევე საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მიერ აკრედიტებული ეროვნული კატეგორიის მსაჯები და კანდიდატები.

- ასპარეზობას გაუძღვებიან, სუპერვაიზერები საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე, ევროპის კარატეს ფედერაციის (EKF) სამსაჯო კომისიის წევრი, თათი მელუა და საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, WKF&EKF სერტიფიცირებული მსაჯი, კონსტანტინე ახალაძე.

- *ა(ა)იპ აჭარის სპორტული კარატეს ფედერაცია უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში მყოფი საერთაშორისო, რეგიონალური მსაჯებისა და ეროვნულ კატეგორიაზე წარდგენილი კანდიდატი მსაჯების მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატში.*

- *პროტესტის წარდგენა :* პროტესტი წარედგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით და განიხილება მხოლოდ 100 ლარის გადახდის შემდეგ.

ჩემპიონატის მიზნები და ამოცანები

- საქართველოში სპორტული კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია;
- სპორტსმენების და მსაჯების ხელშეწყობა, გამოცდილების მიღების და დონის ამაღლების მიზნით;
- საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა;
- აღნიშნულ ჩემპიონატს ასევე აქვს, სპორტსმენთა საკვალიფიკაციო და სარეიტინგო მნიშვნელობა.

ჩემპიონატის სარეგისტრაციო პირობები

- სპორტსმენები ჩემპიონატში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება ჩემპიონატზე მათი მონაწილეობის დღეს 28 თებერვალსა და 01 მარტს.

- ჩემპიონატზე მონაწილეები რეგისტრაცია ონლაინ ფლატფორმაზე უნდა განხორციელდეს www.sportlab.ge 27 თებერვლამდე, შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

- **ჩემპიონატზე მონაწილეობა უფასოა.** რეგისტრაციის დახურვის შემდგომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია კლუბის მიერ დაშვებული უზუსტობის გამო, განხორციელდება მხოლოდ დამატებითი თანხის გადახდის პირობით, რომელიც შეადგენს 50 ლარს ყოველ ცვლილებაზე. დაუშვებელია შეჯიბრების დაწყების/მიმდინარეობის პროცესში სარეგისტრაციო ცვლილებები (28.01–01.03,2026)

ჩემპიონატზე მოქმედი წესები

- ასპარეზობაში მონაწილე სპორტსმენების ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელია მისი წარმდგენი სპორტული კლუბის ხელმძღვანელი.

- ჩემპიონატი ჩატარდება მსოფლიო კარატეს ფედერაციის (WKF) მიერ დამტკიცებული წესებით. ჩემპიონატზე დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის წევრი სპორტსმენები.

- ყველა სპორტსმენი ვალდებულია გამოცხადდეს მოსამზადებელ არეალში, გასახურებელ ზონაში, შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ გამოცხადებიდან არაუგვიანეს 15 წუთისა, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ მწვრთნელს, დაგვიანების შემთხვევაში სპორტსმენი მოიხსნება შეჯიბრებიდან.

- სპორტსმენი რომელიც 2 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე შესაბამისი აღჭურვილობით (კაპა, შესაბამისი ფერის ქამარი და კარატეს ამუნიცია), დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან. 12 წლიდან ყველა ასაკში „კაპა“ და ჟილეტი სავალდებულოა ვაჟებში, გოგონებში სპეციალური მკერდის დამცავები. აგრეთვე 12-13 წლის სპოპრტსმენებისთვის სავალდებულოა თავის დამცავი ჩაფხუტები.

- საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილი დარბაზში მოქმედების წესების დაცვა სავალდებულო იქნება როგორც სპორტული კლუბების წარმომადგენლებისათვის, ასევე გულშემატკივრებისათვის. მათი მხრიდან არაეთიკური საქციელი უმალ დაფიქსირდება ტურნირის სამსაჯო კომიტეტის მიერ და გამოტანილი იქნება შესაბამისი სადისციპლინო სასჯელი, რომელიც შესაძლებლია შეეხოს სპორტსმენს, მის მწვრთნელს და კლუბს რომელსაც დამრღვევი პირი და/ან პირები წარმოადგენენ.

- მწვრთნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამთან არ დაიშვება. მოასპარეზე სპორტსმენს უნდა ახლდეს მხოლოდ ერთი მწვრთნელი, მწვრთნელები, რომელთა სპორტსმენებიც არ გამოდიან კონკრეტული დროის მონაკვეთში დარბაზში (ტატამების სივრცეში) არ უნდა იმყოფებოდნენ. აღნიშნული წესის დარღვა

გამოიწვევს მათ დისკვალიფიკაციას მიმდინარე ასპარეზობიდან.

- დაჯილდოვების ცერემონიალზე სპორტსმენები დაიშვებიან მხოლოდ კარატეგით ან სტანდარტული სპორტული ფორმით (ზედა მოსაცმელი გრძელი სპორტული შარვალი). დაჯილდოების ცერემონიის დროს, კვარცხლბეკთან დაუშვებელია ფოტო გადაღება არაოფიციალური პირების მონაწილეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია სპეციალური ნებართვა, რომელსაც გასცემს საორგანიზაციო კომიტეტი.

ასპარეზობის ასაკობრივი და წონითი კატეგორიები

ასაკი	ვაჟები	დრო, წთ	ასაკი	გოგონები	დრო, წთ
12-13	-40კგ, -45კგ, -50კგ, -55კგ, +55კგ	1.5	12-13	-42კგ, - 47კგ, -52კ გ , +52კგ	1.5
14-15	-52კგ, -57კგ, -63კგ, -70კგ, +70კგ	2	14-15	-47კგ, -54კგ, -61კგ, +61კგ	2
16-17	-55კგ, -61კგ, -68კგ, -76კგ, +76კგ	2	16-17	-48კგ, -53კგ, -59კგ, -66კგ, +66კგ	2
18-20	-60კგ, -67კგ, -75კგ, -84კგ, +84კგ	3	18-20	-50კგ, -55კგ, -61კგ, -68კგ, +68კგ	3
18 +	-60კგ, -67კგ, -75კგ, -84კგ, +84კგ	3	+18	-50კგ, -55კგ, -61კგ, -68კგ, +68კგ	3
12-13	კატა		12-13	კატა	
14-15	კატა		14-15	კატა	
16-17	კატა		16-17	კატა	
18-20	კატა		18-20	კატა	
16 +	კატა		16 +	კატა	
12-15	გუნდური კატა		12-15	გუნდური კატა	
16+	გუნდური კატა		16+	გუნდური კატა	

სპორტსმენების წილისყრა განხორციელდება 28 თებერვალს.

<u>შენიშვნა:</u>

არ შეძლება სხვადასხვა ასაკობრივ ან წონით კატეგორიაში ერთი და იგივე სპორტსმენის რეგისტრაცია. შეჯიბრება წარიმართება დამამშვიდებელი სისტემით.

სპორტსმენების აწონვები

- აწონვები განხორციელდება 2026 წლის 27 თებერვალს თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 15ა, საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის ოფისში 12.00 საათიდან 19.00 საათამდე;

- 28 თებერვალს და 01 მარტს 10.00-12.00 სთ. გორში, ასპარეზობის დარბაზში. მონაწილეობისათის აწონვები სავალდებულოა. რეგისტრაციის შემდეგ მწვრთნელებს გადაეცემათ მწვრთნელის ბეიჯი, რომლის გარეშეც მწვრთნელი ასპარეზობაზე არ დაიშვება;

- სპორტსმენის წონა უნდა აკმაყოფილებდეს წონითი კატეგორიის მოთხოვნას, დასაშვებია ბიჭებში და გოგონებში + 1000 გრ. სხვაობა. სპორტსმენი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას შეჯიბრებიდან დისკვალიფიცირებული იქნება, საქართველოს სპორტსმენებს სარეიტინგო ქულა არ დაეწერებათ.

2026 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პროგრამა

27.02.26, პარასკევი - აწონვები, უნივერსიტეტის ქ. 15 ა, თბილისი, ფედერაციის ოფისი.

28.02.26, შაბათი, კუმიტე და კატა 16 წლიდან ზემოთ

- ჩემპიონატის მსაჯთა კომიტეტის შეკრება, გორის ახალ სპორტის სასახლეში, 9:00 -9:45
- ასპარეზობის დაწყება 10:00 სთ;
- მიმდინარე დღის აწონვები: 10.00-12.00 საათამდე დარბაზში;
- დასრულებული კატეგორიების დაჯილდოების ცერემონია - წონითი კატეგორიის დასრულებისთანავე.
- წლის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელებისა და მსაჯების დაჯილოება კატაში გამოსვლების შემდეგ.

01.03.26, კვირა, კუმიტე & კატა 12 წლიდან 16 წლამდე, 12-15 გუნდური კატას ჩათვლით

- ჩემპიონატის მსაჯთა კომიტეტის შეკრება, გორის ახალ სპორტის სასახლეში, 9:00 -9:45
- ასპარეზობის დაწყება 10:00
- მიმდინარე დღის აწონვები: 10.00-12.00 საათამდე დარბაზში;
- დასრულებული კატეგორიების დაჯილდოების ცერემონია - წონითი კატეგორიის დასრულებისთანავე.

აღნიშნული ჩემპიონატი წარმოადგენს სარეიტინგო ასპარეზობას და სპორტსმენებს შედეგების მიხედვით დაეწერებათ შესაბამისი ქულები.

შეჯიბრის საორიენტაციო განრიგი

28 თებერვალს ონლაინ პლატფორმაზე www.sportlab.ge გამოქვეყნდება ჩემპიონატის ტექნიკური ბადე.

შენიშვნა:
ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას შეჯიბრის მსვლელობის პერიოდში მოახდინონ ცვლილებები, რის შესახებაც მონაწილეებს ეცნობებათ საჯაროდ.

დარბაზი

ასპარეზობა ჩატარდება გორში, ჩუბინაშვილის ქუჩის მიმდებარედ მდებარე ახალ სპორტის სასახლეში

საქართველოს სპორტული კარატეს
ეროვნული ფედერაციის გამგეობა